№ 37 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი [illegible]

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 20 მან. ხუთშაბათი, თებერვლის 17 1921 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 500 მან., ცალკე ნომერი ყველგან 20 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 30 მან. 4-ხე გ. 20 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 1000 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 310 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 600 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %, რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—89

## მობილიზაცია

შვებულებაში მყოფ 1894 და 1895 წ. დაბადებულ ჯარისკაცთა.

თანახმად საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა სასწრაფოდ დაბრუნებულ უნდა იქმნენ თავთავიანთ ერთეულებში ყველა 1894 და 1895 წლებში **დაბადებული ჯარის-კაცნი, რომლებიც იმყოფებიან შვებულებაში განსაკუთრებულ** განკარგულებამდინ.

1894 და 1895 წლებში დაბადებულ ის ჯარის კაცები, რომლებიც თავის დროზედ გამოუცხადებლობისა გამო **არ იყვნენ ჩარიცხულნი ჯარის** ერთეულებში და თბილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის მიერ იყვნენ დათხოვნილნი შვებულებაში, ისინი თანახმად გენერალურ შტაბის უფროსის განკარგულებისა, იქმნებიან გაგზავნილნი ჯარის ერთეულებში სამხედრო ნაწილის უფროსის განაწილებით.

ამიტომ ამ განცხადების გამოქვეყნების უმალვე აღნიშნულ წლებში დაბადებული **ყველა ჯარის-კაცნი, მცხოვრებნი ქ. თბილისში, დაუყოვნებლივ და არა უგვიანეს ამა თებერვლის 17-სა უნდა გამოცხადდნენ** თბილისის სამხედრო აღრიცხვის უფროსის სამმართველოში (ვაგზლის ქუჩა, სახლი თამამშევისა) **იმ სახაზინო ბარგ-ნივთებით, რომელიც მათ აქვთ წაღებული ჯარის ერთეულებიდან**

**ქალაქის გამგეობა.**

16 თებერვალი 1921 წ.

## ექიმების მობილიზაცია

თანახმად თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა გამოცხადებულია რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზედ, გარდა სუხუმის ოლქისა.

## 1884 და 1885 წლებში დაბადებულ ექიმთა მობილიზაცია.

ამიტომ აღნიშნულ წლებში დაბადებული ყველა ექიმები, რომლებიც ცხოვრობენ ქალ. ტფილისში ვალდებულნი არიან ამ განცხადების გამოქვეყნების უმალვე და არა უგვიანეს ამა წლის თებერვლის 17-ს დაუყონებლივ გამოცხადდნენ ტფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოში (ვაგზლის ქ. სახლი თამამშევისა).

16 თებერვალი 1921 წ. **ქალაქის გამგეობა**

**სახელმწ. თეატრი.**

**ო პ ე რ ა.**

ხუთშაბათს 17 თებერვალს

## „რიგოლეტო“

პარასკევს 18 თებერვალს „აბესალომი და ეთერი“, შაბათს 20 თებერვალს „ქოროღლი“ მორდკინის მონ.

დასაწყისი 8 საათზე. 6 1—1

## განცხადება
## სალიკვიდაციო კომისია

არჩეული აქციონერების მიერ, ამა 1921 წლის, 7 თებერვლის არა ჩვეულებრივ კრებაზედ, კავკასიაში ყოფილი ტყავეულობის და ჩულეულობის წარმოებათა საქციონერო საზოგადოების

## „გ. გ. ადელხანოვის“

...ქმეების სალიკვიდაციოთ, იწვევს პირთ და დაწესებულებათ, ვისაც აქვთ ხსენებულ საზოგადოებასთან რაიმე პრეტენზიები, მათ მოსაწესრიგებლად.

პრეტენზიების განცხადება კომისიისათვის შეიძლება ყოველ დღე, დილის 11-დან საშუადღევის 3 საათამდე (ვორონცოვის ქ. № 82, ყოფილი მთავარი კანტორა საზოგადოებისა), ამა თებერვლის ბოლო რიცხვამდე, რის შემდგომ არავითარი პრეტენზიები მხედველობაში მიღებული არ იქნებიან.

**სალიკვიდაციო კომისია.**

42 3—3

## განცხადება
## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს ამომრჩეველთა საყურადღებოთ,

რომ ქალაქის საბჭოს არჩევნები, რომელიც უნდა მომხდარიყო ამა წლის 27 თებერვალს, თანახმად მთავრობის დადგენილებისა, რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის გამო, გადადებულია ახალ განკარგულებამდე.

**ტფილისის ქალაქის გამგეობა.**

48 1—1

## განცხადება

**ოთხშაბათს 16 თებერვალს დილის 11 საათზე სამხედრო სკოლაში დანიშნულია**

## საჯარო ვაჭრობა

ჩახერეხულ (გაფუჭებულ) ღერღილზე წონით 30 ფუთი.

**სამხედრო სკოლა.**

563 2—2

## ქართულ-ფრანგულ სავაჭრო პალატის პრეზიდიუმი

ამით აცხადებს პალატის წევრთა საყურადღებოთ, რომ მ. წ. თებერვლის 27-იდს დღის 12 საათზე პალატის ბინაზე დანიშნულია

## წევრთა საზოგადო კრება

**დღის წესრიგი:** 1) საბჭოს მოხსენება 1920 წ. პალატის მოქმედების შესახებ. 2) 1920 წ. საფინანსო ანგარიში. 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 4) 1921 წ. ხარჯთ-აღრიცხვა. 5) არჩევნები: 5 საბჭოს, ორი მათი კანდიდატის და სარევიზიო კომისიის წევრთა, რომლებიც თავს ანებებენ თანახმად წესდებისა. 6) პალატის საპატიო წევრთა არჩევა. 7) სხვა და სხვა კითხვები.

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, თუ კრებაზე არ გამოცხადდება წევრთა საკმაო რიცხვი, მეორე კრება შესდგება კვირას, მარტის 20-ს დღის 12 საათ., რომელიც კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. 630 1—1

## ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო ნაწილი

## ამით საყოველთაოთ აცხადებს,

რომ ამ დღეებში გამოცემული იქნება საქართველოს რესპუბლიკის ფულის ნიშნები ხუთი ათასი მანეთის ღირებულებისა იის ფერისა (фіалетовый) და ზედ იქნება ნახატი დამფუძნებელი კრების შენობა.

47 1—1

## „კავკასიის შავი-ზღვის სავაჭრო-სამრეწველო სააქციონერო საზოგადოების“

გამგეობა საზოგადოების წესდების § 46 მუხლის ძალით ამით იწვევს არა ჩვეულებრივ საერთო კრებას საზოგადოების აქციონერებისას 10 აპრილისათვის 1921 წ. დილის 3 საათზე შტაბის ქუჩაზე სახ. № 2 განსახილველია საზოგადოების ლიკვიდაციის საკითხი.

**გამგეობა.**

643 2—1

### ოფიციალური განყოფილება.

## ბრძანება

**დეპარტამენტის დირექტორისა.**

14 თებერვალი, 1921 წ., № 40.

**დაინიშნა:** იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის მანქანაზე გადამწერად რუსუდან გიორგის ასული გრიგოლაშვილისა ა. წ. თებერვლის 1-დან.

დეპარტამენტის დირექტორის თ. ა. **ხიდაშა.**

—

**იუსტიციის მინისტრისა.**

14 თებერვალი, 1921 წ., № 41.

**დამტკიცებულია:** ტფილისის № 2 საპყრობილის უფროსის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი ნიკოლოზ ბუთხუზი აღნიშნულ საპყრობილის უფროსად ა. წ. თებერვლის 14-დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

—

**მიწათ-მოქმედების სამინისტროს უწყებისა.**

28 იანვარი, 1921 წ. № 14.

**დათხოვნილ იქმნას:** სამსახურიდან 1920 წლის დეკემბრის 1-დან სპეციალისტი-ენტომოლოგი, სოფლის მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ მებრძოლ ბიუროს გამგე ბორისი პეტრეს ძე უვაროვი, რომელიც წარსული წლის დეკემბრის 1-მდე შვებულებაში იყო და ვადაზე არ გამოცხადდა.

**დანიშნულ იქმნას:** 1920 წლის დეკემბრის 1-დან ბიუროს სპეციალისტი ენტომოლოგის თანამდებობის აღმასრულებელი ალექსანდრე მიხეილის ძე ილიინსკი ბიუროს სპეციალისტ-ენტომოლოგის თანამდებობაზე.

**დანიშნულ იქმნას:** 1920 წლის დეკემბრის 1-დან ბიუროს გამგის თანამდებობის აღმასრულებელი სპეციალისტი მიკოლოგი პანტელეიმონ ივანეს ძე ნაგორნი ბიუროს გამგის თანამდებობაზე.

მიწად-მოქმედების მინისტრი **დ. ონიაშვილი.**

—

**სააქციზო სამმართველოს უფროსისა.**

11 თებერვალი, 1921 წ., № 13.

**დაინიშნა:** თამბაქოს ფაბრიკის კონტროლიორის დროებით თანამდებობის აღმასრულებლად მიხეილ ალექსის ძე კუზმინი 1921 წლის თებერვლის 11-დან.

სააქციზო სამმართველოს უფროსი **ხპ. ბაქრაძე.**

—

**გზატკეცილების დაწყლით სავალ გზების სამმართველოს უფროსისა.**

15 იანვარი, 1921 წ., № 10.

მტკიცდება ჩემდამი რწმუნებულ სამმართველოს ბათომის დისტანციის უფროსის შემდეგი ბრძანებანი: № 72.

§ 3.

არდაგანის გარაჟის კანტორის მანქანაზე გადამწერი ეკატერინა დუშანის ასული ლადიჟენსკაია, გარაჟის ლიკვიდაციის გამო, გადმორიცხულია დისტანციის კანცელარიის მოსამსახურეთა შტატში დროებით კანტორის მოხელის თანამდებობაზე ა. წ. 1 დეკემბრიდან.

სამმართველოს უფროსი ინჟინერი **ნ. კორინთელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოზე ვერაგულად თავდასხმის გამო.

## გენერალ-გუბერნატორისაგან

**ქ. ტფილისის, ტფილისის და ბორჩალოს რესპუბლიკის რკინის გზების და ტყიბულის მადაროების რაიონის გენერალ-გუბერნატორისა**

I

რესპუბლიკის კანონთა კრებულის დამატების მე 2 ტომის 23 მუხლის თანახმად ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ ჩემს მიერ გამორიცხულ იქმნებიან საერთო წესიდან და გადაეცემიან საგანგებო სამხედრო სასამართლოებს, რომელნიც არსდებიან დამფუძნებელ კრების 1919 წ. ნოემბრის 11-ს დეკრეტის ძალით, ის პირნი, ვინც ამის გამოცხადების შემდეგ ჩემდამი რწმუნებულ საგენერალ-გუბერნატორო ტერიტორიაზე ჩაიდენენ იმ ბოროტმოქმედებას, რომელიც გათვალისწინებულია 1918 წლ. ივლისის 5-ს კანონში, სახელდობრ:

1) ვინც სახელმწიფო მოღალატეობას ჩაიდენს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წინაალმდეგ (მუხ. 108, 109, 110 და 119 სისხლის სამართლის დებულებისა, ტომი 15 კან კრებ. გამოც. მე-4),

2) ვინც შეეცდება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წეს-წყობილების შეცვლას შეიარაღებულის ძალით (მუხ. 100 სისხლის სამართლის დებულ. რუსეთის დროებით მთავრობის 1917 წ. 4 ავგისტოს დადგენილებისა რედაქციით „დროებით მთავრობის უწყება" 1917 წ. № 127).

3) ვინც მონაწილეობას მიიღებს აშკარა აჯანყებაში დაწესებულ მმართველობის წინაალმდეგ (მუხ. 263 სასჯელთა დებულებისა, ტომი 15 კან. კრებ).

4) ვინც ჩაიდენს წინასწარ ან უცბად მოფიქრებულ მკვლელობას (მუხ. 1454 და ნაწ. 455 სასჯელთა დებულებისა, ტომი 15).

5) ვინც განზრახ, ცეცხლის წაკიდებით ან რაიმე სხვა გზით გაანადგურებს ან გააფუჭებს სამხედრო მასალას, ან საზოგადოთ იმას, რაც წარმოადგენს თავდაცვის საშუალებას, ან სათადარიგოთ დამზადებულ სურსათს, გინდა ფურაჟს, ან ვინც განზრახ ცეცხლს წაუკიდებს სახელმწიფო, გინდ საზოგადო შენობას

6) ვინც განზრახ გაანადგურებს, ან დიდ ზიანს მიაყენებს ტელეგრაფს, ტელეფონს, რკინის გზის ლიანდაგს, ვაგონებს, რკინის გზის ან ნავთსადგურის შენობას, ან რაიმე მათ მოწყობილებას, ან გასაფრთხილებელ ნიშნებს, რომელიც დაწესებულია რკ. გზით ან გემით უხიფათო მიმოსვლისათვის, თუნდაც ბოროტ-მომქმედს განზრახვა არ ჰქონდეს საფრთხეში ჩაეგდოს რკინის გზით თუ გემით მიმავალი ხალხი ან გადასაზიდი საქონელი, ან ვინც განზრახ მოსპობს ან გააფუჭებს სამრეწველო, თუ სამთო-მადნის დარგის ისეთ მოწყობილებას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკისათვის.

II

თავდაცვის საქმის დამშვიდებული წარმოებისათვის საჭიროდ ვცანით დავავალოთ ტფილისის ყველა მოქალაქეებს განსაკუთრებული წესრიგის შენარჩუნებას ყოველი მხრით ხელი შეუწყონ.

შექმნილი სერიოზული მდგომარეობის გამო რესპუბლიკის მტრების აგენტები დაიწყებენ ენის სისინს, სხვის წაქეზებას, პანიკის შექმნას და ჭორების გავრცელებას.

დამნაშავენი დაუყონებლივ იქნებიან გასამართლებულნი სამხედრო სასამართლოს მიერ. ყველა იმ პირთ, ვისაც იარაღი აქვთ უნებართვოთ, წინადადებას ვაძლევთ ორი დღის განმავლობაში ჩააბარონ ქალ. მილიციის უფროსს, წინაალმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი სამხედრო სამართალში მიეცემიან.

ღამის 11 საათის შემდეგ დილის 6 საათამდე ქუჩაში გამოსვლა კერძო პირთათვის გარდა ექიმებისა სასტიკად აკრძალულია. დამრღვევნი ამა მუხლისა, დაპატიმრებულნი იქნებიან.

გარნიზონის უფროსს ვუბრძანებ ქუჩებში თულიოს საკმაო რიცხვი სამხედრო პატრულებისა წესრიგის დასაცავათ.

ეს ბრძანება ვრცელდება ყველა ადგილებზე, სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული და მისი სისრულეში მოყვანა ევალება სათანადო მილიციის უფროსებს, ტყიბულის რაიონში ჩემს რწმუნებულს კონ. კანდელაკს, ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს მგელაძეს.

გენერალ-გუბერნატორი ჩხიკვიშვილი.

III.

**ქუთაისის მაზრის, რკინის გზისა და სისხლის სამართლის მილიციის უფროსებისსადმი.**

რადგანაც ჩემს მიერ გამორიცხულია საერთო სასამართლოს ქვემდებარეობიდან ის საქმეები, რომელიც შეიძლება აღიძრას ჩემდამი რწმუნებულ საგენერალ-გუბერნატოროში გათვალისწინებული რესპუბლიკის 1918 წლის 5 ივლისის კან., მათი გადაცემით სამხედრო საგანგებო სასამართლოებისათვის გაძლევთ წინადადებას, ცირკულიარით მისწეროთ თქვენდამი რწმუნებულ მილიციის სათანადო თანამდებობის პირებს, რომ ამ დანაშაულების განხილვის წარმოების დროს იხელმძღვანელონ შემდეგი წესებით:

1) დანაშაულობის ყოველი შემთხვევა, რომელიც ექვემდებარება სამხედრო საგანგებო სასამართლოებს, მილიციის წარმომადგენლებმა დაუყონებლივ უნდა აუწყონ უბნის პროკურორის ამხანაგს, ოლქის სასამართლო პროკურორს და რთულ შემთხვევებში პალატის პროკურორსაც.

2) ყოველ კომისარიატში და მილიციის სასამართლოებში მორიგეს ოთახში სახილველ ადგილზე უნდა იქნეს აღნიშნული მისამართი და ტელეფონის ნომრები (სამსახურის და ბინის) უბნის პროკურორის ამხანაგისა, ოლქის სასამართლოს და სასამართლო პალატის პროკურორებისა.

3) გამოძიება აღნიშნულ დანაშაულებაზე წარმოებს საპროკურორო ნაწილის წარმომადგენელთა ზედამხედველობის ქვეშ და მათი დაუსწრებლობის დროს კი რესპუბლიკის მილიციის მოსამსახურეებმა უნდა იხელმძღვანელონ სასამართლო პალატის პროკურორის ინსტრუქციით, რომელიც გამოცემულია 1920 წ. 1 მარტს.

4) გამოძიება უნდა იქნეს დასრულებული 24 საათში, რომლის გასვლის შემდეგ წარმოება უშუალოთ უნდა წარმომედგინოს მე და ეს ეცნობოს უბნის პროკურორის ამხანაგს. (მუხ. 7, 8 და სხვ. მთავრობის დადგენილება 1918 წ. 22 დეკემბრის № 177).

5) რადგანაც მილიციის მიერ წარმოებული დაკითხვა, რომელსაც აქვს საგამომძიებლო აქტების მნიშვნელობა, უნდა გახდეს საფუძვლათ სასამართლო გამოძიების შეცდომების თავიდან ასაცილებლად, აღნიშნული დანაშაულებათა გამოძიების საწარმოებლათ უნდა იქნენ დანიშნული ისეთი მოხელეები, რომლებსაც აღნიშნულ მოვალეობისათვის პრაქტიკული გამოცდილება აქვთ.

6) მილიციის უფროსები და უბნის კომისრები ვალდებულნი არიან ცნობა ყოველ შემთხვევაზე, უშუალოთ წარმომიდგინონ მე.

გენერალ-გუბერნატორი

ბ. ჩხიკვიშვილი.

## გენერალური შტაბის ცნობა

**ტფილისი, თებერვლის 16. წარსულ ღამით რესპუბლიკის წინაალმდეგ გამოილაშქრა საბჭოთა აზერბაიჯანმაც. შემჩნეულ იქმნა ყაზახის მაზრიდან საბჭოთა ჯარების შემოტევა ფოილოს მიმართულებითა და წითელი ხიდის წინაალმდეგ.**

**— ფოილოს მიმართულებით მტრის ყოველგვარი ცდა მტკვარზე გადმოსასვლელად ჩვენ მიერ უკუგდებულ იქმნა. ჩვენ ავაფეთქეთ ფოილოს ხიდი.**

**— წითელი ხიდისა და სადახლოს მიმართულებით მეოთ ჩვენ ჯარებს ებრძანათ მდინარე ხრამისაკენ დახევა.**

**— ჯარების სულიერი განწყობილება მხნე და მტკიცეა. უკან დახევა სრულის წესრიგით სწარმოებს.**

## მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას მოწოდება.

**საქართველოს ქალაქებს, ერობებს, თემებს, გვარდიის სათავო შტაბებს, ბატონ საგანგებო რწმუნებულს, აფხაზეთის კომისარიატს, საქართველოს ყველა მოქალაქეებს.**

მოხდა უსაზიზღრესი მუხანათური თავდასხმა, გაბოროტებულ სომხეთს მიემხრო აზერბეიჯანი და იქ მდგომ ბოლშევიკურ ჯარებმა შემოგვიტია ალმოსავლეთში. იცოდეთ, რომ მათი გამარჯვება ნიშნავს ერის თავისუფლების, ხალხის ნაშრომის და ნაამაგარის საშუდამოთ დაღუპვას და ჩვენი ბოლშევიკთ მშიერი ბრბოების უსაშინელეს ტირანიაში ჩავარდნას.

დადგა ჟამი ჩვენი ყოფნა არ ყოფნისა. ჩვენი ბედი ჩვენ ხელთ არის, გამოვიჩინოთ ძველებური ქართველური მამაცობა, თავის დადება, ერთობა და მტერი ძლეული იქნება.

საქართველოს არა ერთხელ განუცდია უცხო ლაშქართა შემოსევა, მაგრამ ისინი უკანვე გაურეკია. აიღეთ ხმალი ხელში, აამუშავეთ ქალი და კაცი, შექმენით ახალ ახალი რაზმები, დაიცავით შიგნით სასტიკი წესიერება. ალაგმეთ მოღალატენი და ორპირნი. იცოდეთ, რომ გამარჯვებული ბოლშევიკები გაგძარცვენ და გაგჟლეტენ. მათ გასტეხს მხოლოდ თქვენი მხნეობა და თავის დადება. შეაჩერეთ ჩვეულებრივი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მუშაობა და მოკიდეთ ხელი მარტოოდ-მარტო თავის დაცვას. მეტი მეომარი, მეტი იარაღი, მეტი სურსათი, აი რას ითხოვს თქვენგან სამშობლო და ეს უნდა მოგვაწოდოთ ყოველ დღე გამარჯვებამდე. ამ ბრძოლაში ჩვენ მარტო არ დავრჩებით. შევქმნათ ერთი მთლიანი თავგანწირული ძალა და ჩვენს ირგვლივ შემოიკრიბებიან მშველელნი. ქართველო ხალხო „ხელი ხმალს იკარ მტერთა ისმიან ხმანია" საქართველო მოკვდება, მაგრამ მტერს არ დანებდება.

მთავრობისა და თავდაცვის საბჭოს

თავმჯდომარე ნოე ჟორდანია.

## სამხედრო საგანგებო სასამართლო

საგენერალ-გუბერნატორის ტერიტორიაზე, მთელი რიგი იმ საქმეების გასარჩევად, რომელიც გათვალისწინებულია 5 ივლისის 1918 წლის კანონით, დაარსდეს სამხედრო საგანგებო სასამართლო. სასამართლოს თავმჯდომარედ მე ვნიშნავ ალფეზ ხელაძეს და წევრები მან ჩემთან შეთანხმებით უნდა მოიწვიოს. სამხედრო საგანგებო სასამართლოს მოქმედება შევა ძალაში დღეიდან.

16 თებერვალი 1921 წ.

გენერალ გუბერნატორი

ბ. ჩხიკვიშვილი.

## დამფუძნებელი კრების დადგენილება

მოისმინა რა განცხადება მთავრობის თავმჯდომარის საბჭოთა სომხეთის ვერაგული თავდასხმის შესახებ დამფუძნებელი კრება საქართველოს სუვერენული ერის სახელით აღშფოთებას გამოსთქვამს სომხეთის საბჭოთა რუსეთის მიერ საერთაშორისო უფლების ელემენტარული ნორმების ფეხქვეშ გათელვის გამო.

დამფუძნებელი კრება აღნიშნავს, რომ საბჭოთა სომხეთის ამ მუხანათურ თავდასხმაში უმთავრეს ძალას წარმოადგენს ბაქოდან გამოსული რუსთა მხედრობა, რომელიც იმპერიალისტურ ძალათ მოევლინა ამიერ კავკასიის ერებს.

დამფუძნებელი კრება სავსებით ადასტურებს მთავრობის მიერ რესპუბლიკის დასაცავად და მისი თავისუფლების უზრუნველსაყოფად მიღებულ ზომებს.

დამფუძნებელი კრება აცხადებს, რომ სრულიად საქართველოს ერი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგება შემოსეულ მტერთა მოსაგერებლად.

დამფუძნებელ კრებას სწამს, რომ მთელი მოწინავე კაცობრიობათათვის მსჯავრს დასდებს ამ ვერაგულ თავდასხმას.

**დამფუძნებელი კრება მხურვალე სალამს უძღვნის რესპუბლიკის ჯარსა და გვარდიას, დარწმუნებულია, რომ საქართველოს ერთგულნი და მამაცნი შვილნი დაიცავენ სამშობლოს მიწა წყალს და სრულ გამარჯვებას მიანიჭებენ ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას.**

## თავდაცვისათვის

ომი არ გამოცხადებულა, მაგრამ უკვე დაიწყო ომი.

დიდი და მძიმე ომი.

როგორც ყოველთვის ჩვენ დღესაც ზავი, მშვიდობიანობა გვინდოდა.

მაგრამ დაუცხრომელი მტერი ჩვენი მშრომელი ხალხისა კვლავ ქურდულათ, მუხანათურად, ვერაგულათ დაგვეცა.

ჩვენ ვიცავთ ჩვენს ქვეყანას და ვიწყებთ ომს.

მთელი ჩვენი ძალებით და აფრთოვანებით ვიწყებთ ამ ომს.

მთელი ხალხის ენერგია ფრონტის ირგვლივ უნდა დაჯროვდეს.

ყველა კითხვები დროებით განზე უნდა გადიდვეს და მხოლოდ ფრონტზე უნდა ვიზრუნოთ.

ზურგმა თავი ფრონტს უნდა ანაცვალოს.

ქვეყნის დაცვა და განმტკიცება დიდ მსხვერპლს მოითხოვს.

ყველამ უნდა გაიღოს ეს მსხვერპლი.

ვისაც რით შეუძლია.

ქონებით, შრომით, სისხლით.

და გამარჯვება ჩვენი იქნება.

ისე, როგორც ყოველთვის.

გამარჯვება დიდი, ბრწყინვალე.

ვალიკო ჯუღელი.

## თავდაცვის კომიტეტები რკინის გზებზე

თებერვლის 12 შესდგა რკინის გზის ხელმძღვანელ ორგანიზაციებისა და რკინის გზელთა კავშირის ცენტრალურ კავშირის გამგეობის სასწრაფო სხდომა იმ საკითხთა განსახილველათ, რომლებიც შეკავშირებულია რესპუბლიკის საზღვრებზე არსებულ მდგომარეობასთან. თათბირმა დაადგინა: ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს მთავრობას რესპუბლიკის დაცვის საქმეში და მიიღოს ზომები რკინის გზებზე ნორმალურ მოძრაობისათვის ხელის შესაწყობათ და რკ. გზ. ქონების, ხიდებისა და სხვ. დასაცავათ. ამ დადგენილების პრაქტიკულად განხორციელების მიზნით გადასწყვიტეს რკინის გზის მთავარ რაიონებში მოაწყონ თავდაცვის კომისიები, რომელთა სათავეშიც ტფილისის თავდაცვის კომიტეტი იქნება. თანახმად თათბირის დადგენილებისა თავდაცვის მთავარ კომიტეტში უნდა შედიოდეს 5 პირი: სამი რკინის გზელთა კავშირიდან და ორი კი რკ. გზ. ადმინისტრაციისაგან. სარაიონო კომისიებში შევა კავშირის ორი წარმომადგენელი და ერთი ადმინისტრაციის წარმომადგენელი. სარაიონო კომისიის წევრებს ნიშნავს მთავარი კომიტეტი.

მთავარ კომიტეტში ამოირჩიეს კავშირიდან ნ. ბერეჟიანი, ი. მანჯგალაძე და ფ. მეგრელიშვილი, ადმინისტრაციიდან—გზათა უფროსი ა. კანდელაკი და ექსპლოატაციის ნაწილის უფროსი გ. აბელიშვილი.

**დისციპლინა რკინის გზებზე.**

ტყიბულ-ქუთაისის რკინის გზის ხაზზე დანიშნულმა მთავრობის განსაკუთრებულმა რწმუნებულმა ფიფინაშვილმა დეპეშით აუწყა რკინის გზის უფროსს, რომ მათ თავის პასუხისმგებლობის ქვეშ სასტიკი თვალყური ადევნონ, რათა ყველა მუშამ და მოსამსახურემ სისწორით და კეთილსინდისიერად შეასრულოს თავისი ვალდებულებანი. ყველა იმ აგენტის შესახებ, რომლებიც კანონიერ მოთხოვნილებას არ შეასრულებენ, უნდა აუწყონ განსაკუთრებულ რწმუნებულს და სათანადო საბრალმდებლო ოქმი უნდა წარუდგინონ.

უფროსნი, რომელნიც შენიშნულნი იქნებიან თავის ხელქვეითთა არასინდისიერ მოქმედების დაფარვაში, დამნაშავე აგენტთან ერთად სამსახურიდან იქნებიან გადაყენებულნი.

## საქართველოს სოც.-დემ. პარტიის ცენტ.-ალურ კომიტეტის მოწოდება.

საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შემდეგი შინაარსის მოწოდება გამოუშვა:

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით. ამხანაგო მუშებო, მოქალაქენო, შეიარაღდით.

ვერაგი მტერი ქურდულათ დაგვესხა. ომის გამოუცხადებლათ აზერბეიჯანის საბჭოთა ჯარმა ბრძოლა დაიწყო. წითელ ნიღაბს

ქვეშ თავს გვესხმიან ძველი იმპერიალისტური პოლიტიკის მატარებელნი.

ამხანაგო მუშებო, იარაღი აისხით და შეავსეთ სახალხო გვარდიისა და ჯარის რაზმები. ყველაფერი ფრონტისკენ. ყველაფერი ფრონტისათვის.

მტერი იმედოვნებს ერთი დაკვრით სოციალისტურ საქართველოს გასრესას.

თქვენ იხსნით სოციალისტურ სამშობლოს. თქვენ დაუმტკიცებთ მუხანათ მტერს რას ნიშნავს თავდადება დამოუკიდებელ საქართველოსთვის.

მუშებო, იარაღი აისხით და მტერიც განადგურდება.

ძირს „წითელი" იმპერიალისტები.

გაუმარჯოს სოციალისტურ საქართველოს.

გაუმარჯოს რესპუბლიკის თავდაცვას.

ამხანაგებო, ადერბეიჯანმა ზანი მისცა სომხეთს და ისიც ვერაგულად და ქურდულად თავს დაგვესხა. ბოლშევიკები ცდილობენ სოციალისტური საქართველოს გასრესას.

ფეხზე დადექით

დაუყონებლივ მოახდინეთ მობილიზაცია პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა. გამოწვეული ამხანაგები დაუყონებლივ გადაეცით გვარდიის შტაბის განკარგულებაში. მოჰკრიბეთ სამხედრო იარაღი და ჩააბარეთ გვარდიის შტაბებს.

მიიღეთ სასწრაფო ზომები სურსათის შესაკრებათ და ჯარის უზრუნველსაყოფათ.

მთელი რესპუბლიკა ფეხზე უნდა წამოდგეს ვერაგი მტრის მოსაგერებლად. რესპუბლიკის ბედი თქვენს ხელშია.

ცენტრალური კომიტეტი.

## პარტიების დადგენილება.

თანახმად თებერვლის 16 ს მომხდარ ყველა პოლიტიკურ პარტიების და პროფ. ორგანიზაციების წარმომადგენელთა საგანგებო თათბირის დადგენილებისა სამხედრო კომისიამ გამოჰყო თავის შემადგენლობიდან მოხალისეთა სამობილიზაციო ბიურო, რომელიც მოწოდებით მიმართავს მოხალისეთა რაზმში ჩაწერის მსურველთ.

თათბირის დადგენილებით მოხალისეთა ჩაწერა და ბიუროში გამოგზავნა გევალებათ თქვენ. ყველა პარტიის ბიურო გზავნის თავის რეკომენდაციით და თავდებობით შეგროვილ მოხალისეთ იმის აღნიშვნით, გაუვლიათ თუ არა სამხედრო გაწვრთნა. ბიუროს სარეგისტრაციო პუნქტი არსებობს დამფუძნებელი კრების სასახლეში № 29 ოთახი, ტელ. 6—18, რეგისტრაცია დაიწყება დღეს $2\frac{1}{2}$ საათზე განუწყვეტლივ სწარმოებს ხვალ 12 საათამდე. გენერალ-გუბერნატორს ეცნობა რომ მან გასცეს სათანადო განკარგულება რათა ყველანი ვინც მოხალისეობას მოისურვებს დაუყონებლივ განთავისუფლებულ იქნეს სამსახურიდან საერთო წესის მიხედვით.

## მოხალისეთა სამობილიზაციო ბიუროსაგან.

სამშობლოს ერთგულნო! სომხეთით და აზერბეიჯანით მტერი კვლავ თავს დაგვესხა. დაგვესხა მუხანათურად, ომის გამოუცხადებლივ. მამაპაპურის ვაჟკაცობით ბრძოლაში უკვე ჩაება პირველ რიგში მდგომი ჯარი და გვარდია და გმირულის თავთადებით იცავენ სამშობლოს დიდებას და დამოუკიდებლობას. საერთო ხიფათის დროს მთელი ქართველი ხალხი ფეხზე უნდა დადგეს და უზენაესი მსხვერპლის გასაღებათ განემზადოს.

ჩვენ ვიცით სამშობლოს გაჭირვების დროს, შინ კერისპირას გული არ დაუდგება არც ერთ ქართველ ვაჟკაცს, რომელიც ჯარში გაწვეული არ არის და დღეს სხვებთან ერთად არ იხდის თავის სამღვთო მოვალეობას საყვარელი სამშობლოს წინაშე.

ჩვენ მოუწოდებთ სამშობლოს ერთგულთ რომ დაუყონებლივ მიიქცნენ თავ თავიანთის პარტიულ ცენტრებში და პროფ. კავშირებში: იქ მიიღებთ სათადარიგო ბარათებს და ამ ბარათებით გამოცხადდით დამფუძნებელ კრებაში, მოხალისეთა სამობილიზაციო ბიუროს წინაშე.

მაშ. ყველანი, ვისაც გული გვერჩის და ძარღვში სისხლი გვიდუღს, ვინც ჯარში არა ვართ გაწვეულნი და ჯერ არ ვიომობთ, ყველანი ჩავებათ მოხალისეთა რაზმში მივეშველოთ ფრონტზე თუ ზურგის სამსახურში ჩვენ სიამაყეს და იმედს-ჯარს და გვარდიას და მათთან ერთად დავიცვათ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის თავისუფლება და ღირსება.

## მისიების დაპატიმრება.

გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დააპატიმრეს ბინაზე აზერბეიჯანისა და სომხების მისიები.

## ბრძოლა პროვოკაციის წინააღმდეგ +

დედა ქალაქში მოკალათებული ჩვენი რესპუბლიკის მტრები პროვოკაციით აღსავსე ხმებს ავრცელებენ ომის მსვლელობის შესახებ. გაიძახიან ჩვენი ჯარის უკან დახევაზე, ჩვენი ჯარის ნაწილების ტყვეთ წაყვანის და სხვა. ცხადია, ამ პროვოკატორებს სურთ ერთგვარი პანიკა შექმნან, მაგრამ ამაოდ! ეს ვაჟბატონები მიზანს ვერ მიაღწევენ. ქართველ ერს დამარცხების არ ეშინიან იმ დროს, როცა მას დარაჯობს გულადი გვარდია და ჯარი, რომელთაც ყველა ბრძოლის დროს სათანადო სიმაღლეზე ეჭირათ რევოლიუციონური და ეროვნული დროშა, ისინი მუდამ გამარჯვებას არიან ჩვეულნი და ეხლაც ეჭვი ნურავის ეპარება მათ ბრწყინვალე გამარჯვებაში.

მოაწია ყველა ჯურის ჩვენი მტრების აღსასრულმა და ისინიც ასისინდნენ.

სასტიკი ბრძოლა ყალბი ხმების, პროვაკაციის გამვრცელებელთა წინააღმდეგ.

თვითეული მოქალაქის ვალდებულებაა ებრძოლოს ამ პროვოკატორებს.

## უნდა გავიმარჯვოთ!

ვერაგი მტერი მუხანათურად თავს დაგვესხა. მისი გეგმები დიდია: მას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოსპობა, ქართველი ერის კვლავ მონობის უღელში შებმა, მისი დოვლათისა და სარჩო საბადებელის მოტაცება, ჩვენი ეროვნული სახის დასამარება, ქართველი დემოკრატიის ფიზიკურად განადგურება და მის ნანგრევებზე კომუნისტური დროშის აფრიალება სწადიან. ასეთია მოკლედ მზაკვრული სულის კვეთება ჩვენ საზღვრებში მომხდარ მტრებისა. ამ მტერს იცნობს საქართველოს დემოკრატია, ის არა ახალია ძველია, ის არა ერთხელ შეეცადა თავის შავი მიზნების განხორციელებას, მაგრამ ყოველთვის სამარცხვინოდ დამარცხებული უკუგდებულ იქმნა. ვინ არის ეს მტერი? ვის სურს ქართველი ერის აღგვა დედამიწის ზურგიდან? ეს გახლავს კომუნისტები, რომლებმაც არა ერთხელ მოგვიწყვეს შიგნით აჯანყება, არა ერთხელ გააჩაღეს ანარქიული ცეცხლის კოცონი; გვიმსხვრევდენ მატარებლებს, თავს ეცემოდენ მძინარ ჩვენ მებრძოლ ახალგაზრდობას, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს, საქართველოს ხალხმა ერთხმად დაგმო და ალაგმა ამ ვერაგ ვაჟბატონების თავგასულობა. მაგრამ მის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა: საქართველო გაძლიერდა, განმტკიცდა მისი სახელმწიფოებრივობა, ის ცნობილ იქნა ევროპის დიდი სახელმწიფოების მიერ, კომუნისტების ცენტრალურმა მთავრობამაც აღიარა ჩვენი სუვერენობა, მან ჩვენთან დასდო ხელშეკრულება, რომლის განხორციელებითაც უნდა განმტკიცებულიყო ჩვენსა და საბჭოთა შორის მეგობრული განწყობილება; საქართველოს მთავრობას არასოდეს ოდნავადაც არ დაურღვევია არც ერთი მუხლი დადებული ხელშეკრულებისა, ჩვენში „მოღვაწე" კომუნისტები კი მაინც ცდილობდენ სხვადასხვა ბრალდებანი მოეხვიათ ჩვენთვის თავზე; ამ მიზნით ისინი აგზავნიდენ მოსკოვს სხვადასხვა შინაარსის „დანოსებს". ხელთ იგდეს განაწამები სომხეთი და ეხლა იქიდან აპირებენ ჩვენს გაპარტახებას. ერევნის „რევკომმაც" ძველი დაშნაკური სომხეთის მთავრობის გზა აირჩია: იმანაც იარაღის აჟღარუნება არჩია სადაო საკითხების მშვიდობიანი გზით, არბიტრაჟის საშუალებით გადაჭრას; მაგრამ „რევკომებს" ყოველთვის ძალადობა, ომი, სისხლის ღვრა ახასიათებდა და ერევნის რევკომმაც არ უღალატა ტრადიციას; ის გაცილებით უფრო მუხანათურად შეეცადა მის მიერ გადმოდგმულ ჩვენს წინააღმდეგ იმპერიალისტურ ნაბიჯების გამარჯვებას: მათ ააჯანყეს რუს სომხების სოფლები და მათ სურთ ომს აჯანყების ხასიათი მისცენ, მაგრამ ვის მოატყუებენ ეს მუხანათები; ქართველმა ერმა კარგათ იცის ვისთან აქვს საქმე. იცის მტრის ფერი, თვისება და მისი ავაზაკური მიზნები.

დამშეულმა წითელ-არმიელებმა შესჭამეს ბეჩავი სომხეთის ერის სარჩო-საბადებელი და ეხლა უნდათ საქართველოში ამოივსონ დამშეული ფერდები, მაგრამ ამაოდ, საქართველოს მიწა-წყალზე ფეხის შემოდგმას ვერ მოესწრება პირ-გასისხლიანებული მტერი; საქართველოს დემოკრატია სომხეთის და ადერბეიჯანის ხალხს როდი გავს, რომ ისე ადვილად შეიძლებოდეს მისი დამონება; საქართველოს ერი გაერთიანებულია მტერთან ბრძოლაში; მან იგემა თავისუფალ სამშობლოს სიტკბოება, მან თავი შესწირა დემოკრატიული სახელმწიფოს განმტკიცებას; არა ერთი და ორი მსხვერპლი შესწირა მან ზვარაკად სამშობლოს, ამისათვის ის სიკვდილს ამჯობინებს მტრის ხელში მონად ჩავარდნას, მაგრამ საქართველოს სიკვდილი როდი უწერია, მან უნდა იარსებოს, აღორძინდეს; ის ღირსია სიცოცხლისა, და ვინც მის სიცოცხლეს ემუქრება, მას ძვირად დაუჯდება საქართველოს დემოკრატიასთან ბრძოლა. საქართველოს მებრძოლნი არ არიან ლაჩრობას ჩვეულნი, მათ არა ერთხელ გაისტუმრეს მტრები კუდ ამოძუებული, არა ერთხელ მოიპოვეს ბრწყინვალე გამარჯვება და ჩვენ ღრმად გვრწამს, რომ გამარჯვება ეხლაც ჩვენ მხარეზე იქნება, რადგანაც ჩვენსკენ არის სამართლიანობა, უნდა გავიმარჯვოთ რადგანაც ასეთია მთელი ერის სურვილი და შეუდრეკელი ნებისყოფა, გამარჯვებით ხასიათდება მისი ტრადიცია; ასე იყო მუდამ და ასე იქნება მომავალშიაც. მოთმინების ფიალა აივსო, არ გაგვივიდა ჩვენ მეზობლებთან სიკეთე, კეთილმეზობლობისა და სოლიდარობისადმი მისწრაფება; მათ ჩვენი მთავრობის დემოკრატიული ბუნება ბოროტად გამოიყენეს; გვეგონა გონს მოვიდოდენ, გასწორდებოდენ, მაგრამ „კუზიანს სამარე გაასწორებს, მათი გამასწორებელი დღეიდან ჩვენი ხმალი იქნებაო" სთქვა მთავრობის თავმჯდომარემ მთელი საქართველოს სახელით და მის ხმას დღეს გამოეხმაურა მთელი საქართველო, რომელიც ისე არ ჩასდებს ხმალს ქარქაშში სანამ მტერს საბოლოოდ არ შემუსრავს.

იქ, სადაც საქართველოს დემოკრატიის სულის მშვიდობიანი ლტოლვილება ვერას აწყობს, დეე, იქ საქართველოს ბასრმა ხმალმა გადასჭრას სამართალი.

## ისტორია იწერება

ვერაგმა მტერმა კიდევ გადმოლახა ჩვენი საზღვრები.

საქართველოს თავისუფლება ვერ მოუნელებიათ.

არ უნდათ დაიჯერონ რომ საქართველოს არსებობა მარადიულია.

ძველად იტყოდნენ: საქართველოს მტერი გარს ისე ეხვევოდა, როგორც მუმლი მუხასაო.

დღესაც საქართველო გარშემოხვეულია უამრავ მტერით. დღესაც ლამობენ საქართველოს ჯანსაღი სხეული განკვეთონ მახვილით შუაზე და მისი რბილი გული სისხლში გასვარონ.

საქართველოს ცნობა „დე-იურე" ჩვენ მტერთათვის ლახვარი იყო. ვერ აიტანეს ეს და გულზე მოსულნი, მუხანათურად მოგვეპარნენ და ზარბაზნების ჰექა ქუხილი კვლავ გაისმა ჩვენ საზღვრებზე.

ქართველი ხალხი როგორც ერთი კაცი აღსდგება სამშობლოს დასაცავად.

ერთხელ კიდევ ამოსდებს ჩვენი ხალხი ლაგამს დაუძინებელ მტერს.

დაე, ვინც დღემდის კარგად ვერ იცნობდა ჩვენ მტერს—დღეის იქით კარგად გაიცნოს. ქართველ ხალხს ერთად ერთი ნაკლი სჭირს. ხასიათის და გულის სიჩვილე. თვით გულკეთილი სხვაც გულკეთილი ჰგონია, სათნოებით მოსილს ყველანი სათნოიანი და პატიოსანი ჰგონია.

დაე აღარ გვეგონოს ესე. სინამდვილეს ანზარიში გიუწიოთ, კმარა ლოიალობა.

ვიცნობთ ჩვენ ამ მტერს, მათმა ბარბაროსობამ გაანადგურა რუსეთი და სიკვდილის პირას მიიყვანა სომხეთიც და ადერბეიჯანიც, მაგრამ პირველყოფილი საუკუნოების ვანდალები ამას არა კმარობენ:

როგორც ვეშაპთ მათ შეტი დავლა უნდა იგდონ პირში.

უნდათ საქართველო ჩაყლაპონ, მაგრამ საქართველოს მკერდი დალურსმულია. პატარა ქვეყანა მდევია თავისი შინაგანი სიმტკიცით და ძალღონით.

საქართველო გამობრძმედილია უთვალავ ომებში. ქართველი ხალხი ჯერ არ დამარცხებულა და არც დამარცხდება.

ქართველი ხალხი დარაზმულია ისე, როგორც არას დროს.

დღეს საქართველო გაერთიანებულია.

ხშირად მარტო ერთ კახეთს უფრენია მტერი და „კუდით ქვა უსროლია".

დღეს ამერი და იმერი შედუღებულია ერთად.

ქართველი ხალხი რკინის სიმტკიცეს [illegible] იჩენს დღეს და თავზედ მტერს [illegible] ცხვენს.

საქართველოს ისტორია დღეს არ დაწერილა. საქართველოს დამოუკიდებლობა დღეს არ დაწყობილა.

ისტორია დაწერილია.

დაიწერება ახალი ისტორია.

ეს არის ისტორია განახლების და თავისუფლებისა.

შორს საზიზღარო გასისხლიანებულო ხელებო.

საქართველოს ჯვარი სწერია.

ჯარის-კაცი.

## გაერთიანებულ საქართველოს გამოძახილი.

მთავრობის თავმჯდომარეს, დამფუძნებელ კრებას, ჯარს და გვარდიას მოუვიდა შემდეგი დეპეშები:

### ჭიათურა.

ახალ განსაცდელის წინაშე ჭიათურის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრთა კრება იმედიანათ შეყურებს მომავალს დარწმუნებული რომ ჩვენი მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობით ქართველი დემოკრატია ზესძლებს ღირსეული პასუხი გასცეს ვერაგ მტერს; ჩვენ მზათ ვართ ყოველ გვარი მსხვერპლი გავიღოთ მტრის დასამარცხებლათ. გაუმარჯოს თავდაცვას.

### სამტრედია.

რკინის გზის სამმართველოს რაიონის პროფესიონალურ კავშირის სექციურ გამგეობათა შეერთებული კრება, აღშფოთებული რესპუბლიკის დაუძინებელ მტერთა მოღალატური თავდასხმით, მოგესალმებათ მხურვალეთ და აღგითქვამთ, რომ ამ მტრების მიერ ძალით თავზე მოხვეულ ბრძოლაში მთელის ჩვენი ძალღონით ვიქნებით თქვენთან ერთად, აღფრთოვანებული ურყევი რწმენით, რომ ჩვენი წმინდა დროშა, როგორც მრავალჯერ, ისე ამ ომშიაც გამარჯვებული გამოვა ბრძოლის ქარიშხლიდან და ჩვენი მტრები ერთხელ კიდევ დარწმუნდებიან თუ რა შეუძლია დამოუკიდებელ საქართველოს ერთსულოვან დემოკრატიას. დიდება და გამარჯვება ჩვენს სახელოვან ლაშქარს.

### ძირულა.

ძირულის თემის ხმოსანთა 15 თებერვლის კრება აღშფოთებულია მტრის მუხანათური თავდასხმით. აღგითქვამთ ყოველ მხრივ დახმარებას. უგზავნით თავდაცვის კომიტეტს ორმოცდა ათი ათას მანეთს. გაუმარჯოს დემოკრატიულ ფრონტს და რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს.

### წითელ ჯვარში.

წითელი ჯვრის საფრონტო ორგანიზაციების საჭიროებისათვის საჩქაროდ საჭიროა სათნოების დები და სანიტრები. პირობების გაგება შეიძლება წითელი ჯვრის კანცელარიაში (26 მაისის ქ. № 60).

გაგზავნილ იქმნა დამატებით ფრონტზე წითელი ჯვრის საექიმო შემხვევი რაზმი.

ფრონტიდან დაჭრილ-დაავადებულთა ევაკუაცია მიენდო წითელ ჯარს. ამიტომ გუშინ, 15 თებერვალს, მოწვეულ იქმნენ წითელი ჯვრის მთავარ სამმართველოს პრეზიდიუმის მიერ საგანგებო სხდომაზედ ტფილისის საავათმყოფოთა და დაწესებულებათა სანიტარულ ნაწილთა უფროსნი ფრონტიდან ჩამოყვანილ დაჭრილ-დაავადებულთა საავადმყოფოებში განაწილების საკითხის მოსაგვარებლად.

## ზაქათალის ოლქის ლეკების დელეგაცია.

14 თებერვალს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ი. ჭავჭანიძე ინახულა ზაქათალის ოლქიდან გადმოხვეწილი ლეკების დელეგაციამ.

დელეგაციის მეთაურმა მინისტრის ამხანაგს შემდეგი განცხადებით მიმართა: „ჩვენ გავიგეთ, რომ ევროპის სახელმწიფოებმა საქართველო იურიდიულად იცნეს და ამით სამუდამოთ დააკანონეს საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა. ამ დიდ მნიშვნელოვან აქტით აღფრთოვანებულმა ლეკობამ წარმოგვიგზავნა საქართველოს მთავრობასთან მილოცვით და სალამით. გთხოვთ გადასცეთ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მის თავმჯდომარეს ნ. ნ. ჟორდანიას ჩვენი უგულწრფელესი გრძნობები. ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ საქართველოს რესპუბლი-

კის მთავრობის სტუმართმოყვარეობა; ჩვენს შვილებსა და შვილის შვილებს გადაეცემათ იმ მზრუნველობის ამბავი, რომელიც თქვენ გამოიჩინეს ჩვენს მიმართ ამ ცხრა თვის განმავლობაში. ამიერიდან არა მარტო ჩვენ—გადახვეწილნი—ვგრძნობთ, რომ ჩვენ ხსნა არ არის საქართველოს გარეშე, არამედ ამასთვე გრძნობენ ზაქათალის ლეკის ყველა მცხოვრები, რომელთა მისწრაფება და სულისკვეთება ჩვენ კარგათ ვიცით. საქართველო ჩვენი დედა-სამშობლოა და მისგან მოველით ხსნასა და შველას".

მინისტრის ამხანაგმა დელეგაციას მადლობა გადაუხადა მილოცვისათვის და აღუთქვა, რომ იგი მოახსენებს მთავრობას ლეკობისაგან მოლოცვის მიღების შესახებ.

# უცხოეთი

### სერბიის წინაამდეგ.

სამხრეთ სლავიის ხალხებს შორის დამოკიდებულება მეტად მწვავეა. იზრდება უკმაყოფილება სერბიის წინაამდეგ, განსაკუთრებით უკმაყოფილონი არიან კროატები, სლოვენელებმა და ალბანელებმა სერბიას მოთხოვნილება წარუდგინეს მათი დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.

### ლენინი და ქემალ-ფაშა.

„ჟურნალ დორიანიკ" იუწყება თანახმად ანატოლიიდან მოსული ცნობებისა ლენინსა და ქემალ-ფაშას შორის დაღესტანის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ მოხდა დეპეშათა გაცვლა-გამოცვლა. მუსტაფა ქემალი თავის დეპეშაში მადლობას უცხადებს ლენინს მისი სააღმოსავლეთო პოლიტიკისათვის, ლენინი კი რწმენას გამოსთქვამს, რომ რუსეთის საღმოსავლეთო პოლიტიკა ქემალ-ფაშის მიერ ყოველთვის მოწონებული იქნება. თავის დეპეშაში ლენინი ამტკიცებს, რომ ავტონომია მიეცემა რუსეთში მცხოვრებთ ყველა ერებს, რომ მათ მიეცეთ საშუალება აირჩიონ თავის წრეებში ისეთი მთავრობა, როგორსაც ისინი მოისურვებენ.

### აჯანყება ეგვიპტეში.

„ეხო დე ლ-ისლამი" იუწყება: ეგვიპტეში დაიწყო ახალი აჯანყება, რომელიც მიმართულია არა მარტო ინგლისისა, არამედ ინგლისში მყოფ ეგვიპტეს დელეგაციის მოქმედების წინაამდეგო.

### გლეხთა აჯანყება უკრაინაში.

„ბოსფორი" იუწყება: გლეხთა აჯანყება უკრაინაში განსაკუთრებული სიძლიერით ვითარდება. განსაკუთრებული მწვავე ხასიათი მიიღო აჯანყებამ ოდესისა, ხერსონისა, ეკატერინოსლავისა და კიევის მიდამოებში. ბალშევიკები მხოლოდ დიდ ქალაქებში არიან გამაგრებულნი. რკინის გზით მიმოსვლა ქალაქებ შორის თითქმის შეწყვეტილია. აჯანყებულთა შორის ტენდენცია ძალთა გაერთიანებისა და სამხედრო საბჭოს შექმნის სასარგებლოდ და ამ რიგათ განაგრძონ ბრძოლას ბალშევიკების წინაამდეგ. მოძრაობის მიზანია რათა ქვეყნის ბალშევიკურ ოკუპაციისაგან განთავისუფლდება და მიწების გლეხებს შორის დარიგება. ამასთანავე მცხოვრებლები წინაამდეგი არიან მათ შინაურ საქმეებში უცხოელების ჩარევისა.

### აჯანყება ინდოეთში.

„ტაიმსი" იუწყება: ინდოეთში კვლავ აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებულთა დიდი რაზმები ესხმიან თავს პოლიციას და ცდილობენ მის განიარაღებას. მდგომარეობა სერიოზულია. თანახმად იმავე გაზეთის ცნობისა ინდოეთში შიმშილი ვრცელდება.

### პოლონეთის ბირჟა.

თანახმად რეიტერის სააგენტოს ცნობებისა პოლონეთის ბირჟას უკანასკნელ დღეებში დიდი გამოცოცხლება დაეტყო. პოლონეთის მარკის კურსი მეტად გაიზარდა. დოლარი 32°/₀-ით დაეცა. გერმანული მარკა კი 2°/₀-ით.

### სათბობ მასალის უქონლობა.

სათბობ მასალის ნაკლულოვანობის გამო საგანგებო რწმუნებული მოუწოდებს პეტროგრადის მცხოვრებთ მოხსნან ზედ-მეტი ლამფები და ისარგებლონ სინათლით მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ელექტრონულ სადგურს სრული შეჩერება მოელის. მოსკოვის „პრავდა" იუწყება: სათბობ მასალის უქონლობის გამო მრავალი ქარხანა და ფაბრიკა შეჩერდაო.

### ფინელ კომუნისტების აჯანყება.

თანახმად ვიბორგიდან მოსული ცნობებისა აღმოსავლეთ კორელიაში ფინელ კომუნისტების აჯანყება მომხდარა. დაუტუსაღებიათ 40 კომუნისტი, რომელთა ბელადები უკვე დაუხვრეტიათ. აჯანყების მიზეზი იყო საბჭოთა მთავრობის განზრახვა გაეგზავნა ფინელი კომუნისტები პეტროგრადში. აღმოსავლეთ კორელიაში ჩავიდა საბჭოთა რაზმი, რომელიც 400 კაცისაგან შესდგება.

### ბოლშევიკური ორგანიზაცია.

ჰავასის სააგენტო საქ. დეპ. სააგენტოს აუწყებს, პარიზის პოლიციამ აღმოაჩინა მთელი რიგი დოკუმენტებისა, ბოლშევიკურ ორგანიზაციების მიწერ-მოწერა და ბოლშევიკურ იმ ფართო აგიტაციის გეგმა, რომელსაც ისინი საფრანგეთში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, საბერძნეთში და რუმინეთში აწარმოებდენ. განზრახულია საფრანგეთიდან ყველა იმ პირთა გაძევება, რომლებიც ამ საქმეში არიან ჩარეულნი.

# საქართველოს იურიდიულათ ცნობის გამო.

(საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან)

დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარის პოლკ. სტოქსისაგან გარეშე საქმეთა მინისტრის სახელზე საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულათ აღიარების გამო ა. წ. თებერვლის თარიღით მიღებულ იქმნა შემდეგი წერილობითი ცნობა:

თქვენო აღმატებულებავ! მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ მე დღეს მივიღე ტელეგრაფით მის უდიდებულესობის ბრიტანეთის მთავრობისაგან მოწერილობა, რომლითაც ნება მეძლევა გადავსცე საქართველოს მთავრობას, რომ მის უდიდებულესობის მთავრობამ იცნო იურიდიულათ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

გაცნობებთ რა ამ სასიხარულო ამბავს, მე ვსარგებლობ ამ შემთხვევით გამოვთქვა ჩემი გულწრფელი იმედი, რომ იურიდიული ცნობა განამტკიცებს საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის შორის არსებულ მეგობრობას და დაეხმარება ქართველ ერის ბედნიერებას და კეთილდღეობას.

ვსარგებლობ ამ შემთხვევით ერთხელ კიდევ გამოვსთქვა ჩემი გულწრფელი პატივისცემა თქვენ აღმატებულებისადმი.

—

დიდის კმაყოფილებით ვეჩქარი გიძღვნათ თქვენ ჩემი გულითადი მოლოცვა საქართველოს დამოუკიდებლობის უმაღლეს საბჭოს მიერ იურიდიულად ცნობის გამო. ოსმალეთის ერს, რომელიც იბრძვის მრავალ მტრების წინააღმდეგ ხალხთა თვითგამორკვევის უზენაესი უფლების პრინციპისათვის, არ შეუძლიან არ მიიღოს მონაწილეობა თქვენს სიხარულში მაშინ, როდესაც ის ხედავს მისთვის ძვირფასს პრინციპის განხორციელებას მეზობელ საქართველოს სასარგებლოთ. მე ვათავებ, ბატონო მინისტრო, და უსურვებ თქვენს ქვეყანას თავისუფლებას, ბედნიერებას და კეთილდღებას. საგარეო საქმეთა კომისარი **ახმედ მუხტარი.**

# სენატი

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საჯარო სხდომაზე 1921 წლ. 18 თებერვალს განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა:

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

1) საქმე ნიკოლოზ ანდრიას ძე ხორბალაძის სარჩელის გამო, ვანო იასონის ძე გამყრელიძესთან ბინის დაცლისა და ქირის 300 მანეთის თაობაზე.

(მომხსენებელი, სენ. ლ. ასათიანი, საქ. № 50 მაგ. 11).

2) საქმე თეოლინე, იგივე ედუკი ფახურიძის სარჩელის გამო ამინდარა, იგივე მინადორა გიორგაძესთან და სხვ. მიწაზედ საერთო მფლობელობის თაობაზე.

(მომხსენებელი სენ. ვ. დემიდოვი, საქ. № 53 მაგ. 11).

3) საქმე ალექსანდრე ზაქაიძის სარჩელის გამო ივანე აბაზაძესთან 3780 მან. თაობაზე.

(მომხსენებელი სენ. ლ. ასათიანი, საქ. № 57, მაგ. 11).

4) საქმე თადეოზ და ნიკო პატარაიაების სრჩელის გამო სპირიდონ ივანე და სამსონ ჩიხლაძეებთან სასამართლოს ბოქაულის დაცვითი აღწერილობიდან მამულის გამორიცხვის თაობაზე.

(მომხსენებელი სენ. ვ. დემიდოვი, საქ. № 64 მაგ. 11).

5) საქმე დიმიტრი ცომაიას სარჩელის გამო საბა გოგიასთან გზის გახსნის თაობაზე.

(მომხსენებელი, სენ. ვ. დემიდოვი, საქმე № 65 მაგ. 11).

6) საქმე აბრამ პირხუცის ძე ბალაბანის სარჩელის გამო სამსონ ვალახოვსკისთან დუქნის თაობაზე.

(მომხსენებელი, სენ. ლ. ასათიანი, საქმე № 77, მაგ. 11).

# განცხადებანი

ქ. სურამის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებული აბესალომ იოსების ძე ორჯონიკიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება აბესალომ იოსების ძე ორჯონიკიძის ქონებაზე სამოქ. კან. კრებ. 1 ნაწ. 10 ტ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 36 3—3

სამხედრო სასამართლო თანახმად 1920 წ. 27 დეკემბერს გამწესრიგებელ სხდომის დადგენილებისა, ეძებს ყოფილ მე-3 ცხენოსან რაზმის კორნეტს ბერძნიშვილს, რომელსაც ბრალი ედება ბოროტმოქმედებაში გათვალისწინებულ 232 მუხ. XXII წ. ს. დ. კ. 1869 წ. გამ. მე 4. ყველამ, ვინც იცის მოხსენებულ ბერძნიშვილის ბინადრობა ვალდებულია განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც მოთავსებულია ქ. ტფილისში სასამართლოს ქუჩა № 32. 44 3—3

სისხ. სამ. წარ. წეს. მე-846, 847 და 851 მუხ. ძალით ტფილისის საგანგებო სასამართლოს დადგენილებით, ეძებენ: ბრალდებულს მისაკ გამბაროვის ძე პარლაკიანცს, 35 წლისა, მცხოვრებელი ახალ-შენის „ეკატერინსკასი", ბორჩალოს მაზრისა. ყველა, ვინც იცის, მისაკ გამბაროვის ძე პარლაკიანცის ბინადრობა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს სად არის. ყველა ის დაწესებულებანი, რომელთა უფლებაში აღმოჩნდება ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადაეცეს იგი საამეკუნო გამგეობას. 0597 1—1

სისხ. სამ. წარ. წეს. მე-846, 847 და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის დადგენილებით. ეძებენ მახოშვილი დინოზა გიორგის ძე ქაშოშვილს მცხოვრებნი სოფ. კოდუეთში. ყველა, ვინც იცის აღნიშნული ბინადრობა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს სად არის, ყველა ის დაწესებულებანი რომელთა უფლებაში აღმოჩნდება ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი საამეკუნო გამგეობას. 0597 1—1

რწმუნების ქაღალდი, მიცემული პავლე პეტრეს ძე წინამძღვრიშვილის მიერ ლევან (ნოდარ) გაბრიელის ძე წინამძღვრიშვილის სახელზედ, შემოწმებული ნოტარიუს ქართველოვისაგან 11 მარტს 1920 წ. № 1009, დღეიდგან გაუქმებულია. 617 1—1

დაიკარგა ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სალექციო წიგნაკი № 2123, ფულის შეტანის ორი ბარათი, პირადობის მოწმობა, მიღებული რკ. გზის სამოსწავლო განყოფილებიდან. და სხვა საბუთები ევგენი ოდიშარიას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 624 1—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული პალატონის კომისრისაგან და სამმაზრის ნუსხა მიღებული რაჭის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან გერმანე ივანეს ძე ჭოხონელიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 637 1—1

დაიკარგა პასპორტი № 22314 ვასილი მიხეილის ძე კორიაგინის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 638 1—1

დაიკარგა სასწავლებლის დამთავრების და პირადობის მოწმობის ასლები გიორგი ორჯონიკიძის სახელზე, ლახუნდარის კოოპერატივის „ანგარიშის" კვიტანციები და ამავე კოოპერატივის ბეჭედი. გაუქმებულად ჩაითვალოს. 629 1—1

დაიკარგა პასპორტი № 2942 გასან სადიკოვ რახიმ ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან 1908 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 623 1—1

დაიკარგა საქართველოს ქვეშევრდომობის მოწმობა № 292 ნინო ვლადიმერის ასული გაბელიშვილი გარუჩინსკის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 625 1—1

დაიკარგა ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტში შესასვლელი ბარათი ელენე კახიძეს სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 618 1—1

დაიკარგა პასპორტი პავლე ბალაბანის-ძე ლალაევის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 619 1—1

დაიკარგა პასპორტი № 1450 ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე მერკულოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 620 1—1

დაიკარგა ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტში შესასვლელი ბარათი № 2056 ელისაბედი კონსტანტინეს ასული დათაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 627 1—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 315 არსენ ამბარცუმის ძე მელქუმოვის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრისაგან 1905 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 631 1—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი იოვან გეორგ თედორეს ძე იორაღის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 632 1—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ელისაბედ იოსების ასული ენიკოლოფოვის სახელზე, მიღებული 1907 წ. იანვრის 17—ს № 92 გაუქმებულად ჩაითვალოს. 633 1—1

დაიკარგა პასპორტი № 2034, მიღებული კავკავის პოლიციის სამმართველოდან, და ატესტაცია, მიღებული ამერიკულ საავტომობილო გარაჟიდან—დენის სტეფანესძე კორობოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 636 1—1

სისხ. სამ. წარ. წეს. მე-846, 847 და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის დადგენილებით, ეძებენ ამაიკა არუთინის ძე სარქისიანცს. ყველა, ვინც იცის სარქისიანცის ბინადრობა ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს სად არის. ყველა ის დაწესებულებანი, რომელთა უფლებაში აღმოჩნდება ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი საამეკუნო გამგეობას. 0597 1—1

## სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილების ტეხნიკური სექცია

ამით აცხადებს რომ 22 ამა წლის თებერვლის დილის 12 საათზე დანიშნულია შეჯიბრება ნავთის სანათურების სასყიდლათ შემდეგი ზომებისა:

1) უბრალო ქესტის ლამფები მინებით № 11 სულ 500 ცალი,
2) უბრალო ჩამოსაკიდი ლამფები № 20 სულ 100 ცალი,
3) უბრალო მაგიდაზე დასადგმელი მინებით № 8 სულ 100 ცალი და
4) ფანრები ნიმუში „ლამურა" სულ 200 ცალი.

ვისაც სურს ვაჭრობაში მიიღოს მონაწილეობა შეუძლია გადასინჯოს ნიმუშები აღნიშნულ სანათებისა ტეხნიკურ სექციის მატერიალური საწყობში მდებარე ბროსეს ქუჩაზე № 10, 9—3 საათამდე ყოველ დღე. 559 3—2

რედაქტორის მოვალ. ასრ. გრიგოლ მაჭავარიანი.

სახელმწიფო სტამბა.